# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.— კვირა, 26 ნოემბერი 1900 წ. № 1309

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.


**ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა** ამით აუწყებს, რომ ხუთშაბათს, 23 ნოემბერს, ხანგრძლივის და სასტიკის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქართული სცენის დამსახურებული არტისტი ქალი

**კნ. ბარბარე ანდ. ასული ავალიშვილისა**

მიცვალებულს გამოასვენებენ სულით ავადმყოფთა ქსენონიდან (სოლოლაკი, კოჯრის ქუჩა) კვირას, 26 ნოემბერს, დილის 9 საათზე, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (2—2)

---

ქართული თეატრის არტისტები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და პატივისმცემელთა, რომ ხუთშაბათს, 23 ნოემბერს, ხანგრძლივის და სასტიკის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი ამხანაგი და ერთგული მათი თანამშრომელი

**კნ. ბაბო ავალიშვილისა**

მიცვალებულს გამოასვენებენ სულით ავადმყოფთა ქსენონიდან (სოლოლაკი, კოჯრის ქუჩა) კვირას, 26 ნოემბერს, დილის 9 საათზე, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (2—2)

---

**ქუთაისის** ქართული დრამატიული დასის არტისტები, გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა გარდაცვალებას ძვირფასი მათი ამხანაგისა და თანამშრომელის

**კნ. ბარბარე ანდ. ასული ავალიშვილისას,**

სთხოვენ მიცვალებულის ნაცნობთა და თაყვანის მცემელთ, დასდონ პატივი და დაესწრონ მიცვალებულის გამოსვენებას კვირას, 26 ნოემბერს, სულით ავადმყოფთა ქსენონიდან (სოლოლაკი, კოჯრის ქუჩა), დილის 9 საათზე, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (2—2)

---

### ბაბო ავალიშვილისა

† 23 ნოემბერს 1900 წ.



დღეს ქართული თეატრის მოღვაწენი ესთხოვებიან სამუდამოდ თავის ნიჭიერსა და ერთგულს ამხანაგს—საბრალო ბაბო ავალიშვილისას. თეატრის მოღვაწეებთან ერთად ქართველი საზოგადოებაც ჰგლოვს თავის მოჭირნახულეს, რომელსაც დიდი ამაგი მიუძღვის სამშობლო სცენისა და ხელოვნების წინაშე. ჩვენი ქვეყნის თვით ცნობიერების გაღვიძების საქმეში ქართულმა თეატრმა მეტად საპატიო როლი შეასრულა და ამიტომ ჩვენი სცენის შემქნელ და სულის ჩამდგმელ არტისტებს ისეთივე მნიშვნელობა აქვთ ჩვენი საზოგადოების განვითარების ისტორიაში, როგორც ჩვენს მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. ხოლო ამ არტისტებს შორის, კერძოდ, ბაბო ავალიშვილის ამაგი დიდი იყო. მან სძლია ჩვენის უმაღლესის საზოგადოების რწმენანი და შეხედულებანი, გამოვიდა ისეთს ეკლიანს ასპარეზზე, როგორიც ქართული თეატრია და 30 წელიწადზე მეტი ემსახურა მას. იგი იყო ჩვენი პირველი დრამატიული არტისტი ქალი, რომლის მეცადინეობამ და ნიჭმა, მის გამოჩენილ ამხანაგების მეცადინეობასთან ერთად, დაამკვიდრა ჩვენს სცენაზე დრამა. ძნელია, მეტად ძნელი 30 წელიწადი ემსახუროს ადამიანი ისეთს საქმეს, როგორიც აქტიორობაა, მეტადრე ახლად დაწყებულს, ახლად აღორძინებულს სცენაზე! ბაბო ავალიშვილისას ბევრი სიმწარე უნახავს თავის მოღვაწეობაში, მაგრამ უკანასკნელ წლებში მეტად დაიტანჯა საბრალო: საშინელმა სენმა შეიპყრო მუშაკი და ბოლოს სიცოცხლესაც გამოასალმა. საუკუნოდ იყოს სახელოვან მოღვაწის ხსენება!.*)

*) განსვენებულის მოკლე ბიოგრაფია გუშინდელს №-ში გვქონდა დაბეჭდილი.

---

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**24 ნოემბერი**

**ბერლინი.** ვალდერზეე იტყობინება პეკინიდან, რომ გაილის რაზმი გუშინ პეკინში დაბრუნდა; იტალიელებმა, რომლებიც ამ გალაშქრებაში მონაწილეობას იღებდნენ, ცალკე დამსჯელი ექსპედიცია გამართეს.

**ბერლინი.** იმპერატორმა მიიღო აუდიენციაში უფროსი ინდოელ მაჰმადიანთა მწვალებლებისა კაიაგუხანი ბომბეიდან.

**ლონდონი.** ზედა პალატა. სოლსბერი აცხადებს, რომ მთავრობას ჰსურს შემოიერთოს ბურების ქვეყნები, როგორც ბრიტანიის ახალშენი და თვითმმართველობა მისცეს მათ, ის ბურები კი, რომელნიც არ ანებებენ თავს ბრძოლას, აგვიანებენ მხოლოდ იმ ძვირფას პრივილეგიების ბოძებას, რომლითაც სარგებლობენ სხვა თეთრი ქვეშევრდომნი დედოფლისა. ინგლისი არასოდეს არ იზამს, რომ ბურებს თუნდ ცოტა დამოუკიდებლობა შერჩეთ. რაც შეეხება ჩინეთს, სოლსბერი აცხადებს, უკანასკნელი ცნობანი გვიჩვენებენ, რომ სახელმწიფოთა კავშირი ფრიად გონივრულია. მას, სოლსბერს, ეჭვი აქვს, რომ ჩქარა მიაღწიონ რიგიანს შედეგებს; მას უფრო სწამს კავშირის გამარჯვება. საზოგადოდ ესაა ყველა ის, რისაც თქმა მას შეუძლიან.

**პარიზი.** სენატის სხდომა. სენატი იხილავს ისევ ფლოტის გადიდების პროექტს. ლანესანი მხარს აძლევს პროექტს და ამბობს, რომ მთავრობას ამ პროექტით ფიქრადაც არა ჰქონია რაიმე აგრესიული გეგმა რომელიმე ეროვნების წინააღმდეგ. იგი მხოლოდ აღფრთოვანებულია სურვილით—უზრუნველ ჰყოს თავისი საკუთარი უშიშრობა. მინისტრი ემხრობა ნაირ-ნაირ გემთა სარგებლობას და ამტკიცებს ჯავშნიანი გემების საჭიროებას.

**ლონდონი.** ქვედა პალატა. კამათის დროს გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწე კრანბორნმა გამოაცხადა, რომ დოკუმენტები შესახებ ჩინეთისა მოკლე ხანში მოხსენდება პალატას; მას მაინც იმ პირობის მიცემა არ შეუძლიან, რომ ეს ცნობები სრული იყოს. შესახებ ინგლის-გერმანიის შეთანხმებისა კრანბორნმა განაცხადა, მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ ინტერესები გერმანისა და ჩინეთისა მჭიდროდ არიან გადაბმულნი ინგლისის ინტერესებთან; ამისათვის იგი ფრიად კმაყოფილი იყო გერმანიასთან ხელ-შეკრულობისა. შეთანხმების შემდეგ მთავრობამ წინადადება მისცა სხვა სახელმწიფოებს მიმხრობოდნენ ამ შეთანხმებას; ამით მტკიცდება ის გარემოება, რომ ინგლისს სრულებით არ ეწადა გერმანიასთან განცალკევებით ემოქმედნა. თუნდაც შეთანხმებაში ახალი არაფერი ყოფილიყოს, მხოლოდ მარტო ის ფაქტი, რომ არც გერმანიას, არც ინგლისს ამ შეთანხმების დროს არაფრის დათმობა არ დასჭირდათ,—არის დიპლომატიური გამარჯვება.

**ლონდონი.** კიტჩენერი დეპეშით იუწყება ბლუმფონტენიდან,

რომ 500 ბურმა დელარეის უფროსობით 20 ნოემბერს ბუფელსფორტთან ძლიერი იერიში მიიტანა ფურგუნებზე, რომელნიც პრეტორიიდან რუსტენბურგში მიდიოდნენ. ფურგუნების დამცველი რაზმი დადგა რამდენიმე გორაკზე და დიდის სიმამაცით იბრძოდა. ბურებმა მაინც მოახერხეს და ცეცხლი წაუკიდეს ფურგუნების ნაწილს, დანარჩენი ნაწილი კი უვნებლად დარჩა. მეორე დღეს მაშველი ჯარი მოვიდა და მაშინ ბურები გაფანტულ იქმნენ და დიდი ზარალიც მოუვიდათ. ინგლისელებს მოუკლეს 15 ჯარის-კაცი და ერთი ოფიცერი და დაუჭრეს 22 კაცი. დევეტი გავიდა 22 ნოემბერს მდ. კალედონში და გაემართა ოდენდალისაკენ. ნოქსი მისდევდა მას თავისი ჯარების ნაწილით, დანარჩენი კი გაგზავნა ოდენდალდრიფტში ბეტულიის ხიდზე, რომელიც უჭირავს გვარდიის პოლკს; წყალი მდინარეში მატულობს.

**ვაშინგტონი.** ყველა ამერიკელი ჯარები, გარდა საელჩოს დამცველის რაზმისა, წავიდნენ ჩინეთიდან ფილიპინის კუნძულებზე.

**სოფია.** მთავარი, მისდევს-რა იმ დედა-აზრს, რომ ერიდოს პალატის დათხოვნას, მიჰმართავს რადოსლავოვს, რომელსაც პალატის უმეტესობა ეხროება, რომ მან შეადგინოს ახალი კაბინეთი. სია ჯერ არ არის მოწონებული მთავრისაგან; იგი შეიცავს, როგორც ამბობენ, უმეტეს ნაწილს წინანდელ მინისტრებისას, გარდა ივანჩევისა და ტონჩევისა. საბოლოოდ ჯერ არა იციან რა.

**ზევენაარი.** პრეზიდენტი კრიუგერი მოვიდა აქ შუადღისას; მას დაუხვდნენ სადგურზედ სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკის კონსული ამსტერდამში, ბურების მაშველი ნიდერლანდელი კომიტეტის წევრები, დიდ ძალი ხალხი და წარმომადგენელნი ახლო-მახლო სოფლებისა. ზევენაარის ბურგომისტრი მიესალმა კრიუგერს სტუმართ-მოყვარე ჰოლანდიის სახელით; მის სიტყვას ხალხი ხშირად სწყვეტდა მოწონებით. მან გამოსთქვა სურვილი, რომ კრიუგერის მგზავრობას მოჰყვეს სასურველი გამარჯვება და რომ ომი მალე გათავებულიყოს. კრიუგერმა მადლობა გადაუხადა თანაგრძნობისათვის და სთქვა, რომ მას ბურების საქმე მართალ საქმედ მიაჩნია. მან მადლობა შეუთვალა ნიდერლანდების ერსა. ჰოლანდია იყო ყოველთვის მებრძოლი თავისუფლებისათვის და იგი დარწმუნებულია, რომ ჰოლანდიელების თანაგრძნობა გულითადია. მხოლოდ სამედიატორო სამართალს შეუძლიან უშველოს ბურებს. სიტყვის დასრულების დროს კრიუგერმა სთქვა: „ძმებო და დებო! ყველანი ევედრეთ ღმერთსა, რათა მან მოალბოს ქვეყნის გამგეთა გული“. კრიუგერის ვაგონი გავსებული იყო ყვავილებითა და გვირგვინებით. როცა მატარებელი დაიძრა, გაისმა ხმა-მაღლივ ხალხის მისალმება კრიუგერისადმი, რომელიც იდგა ვაგონის კარებში და თავს უკრევდა ხალხს. ლოკომოტივი მორთული იყო ტრანსვაალის დროშებით.

**გააგა.** შორს, ქალაქის საზღვარზე, ხალხი ნიდერლანდების და ტრანსვაალის დროშებით ხელში, იდგა გზის ორსავ მხარეზე. კრიუგერის მატარებელს მიეგებნენ მღელვარე აღფრთოვანებით. 3 საათზე და 50 წ. მოვიდა მატარებელი. სადგურზე დაჰხვდნენ ბევრი მოხელეთაგანი, მრავალნი წევრნი ორსავე პალატისა და ბევრნი საზოგადოებანი. რადგანაც კრიუგერი ინკოგნიტოდ მოგზაურობს, ამიტომ სამეფო სახლის წარმომადგენელნი არ დაჰხვედრიან. მოყვარულთა ხორომ იგალობა მე-72 ფსალმუნი. ქალაქის თავი მიესალმა კრიუგერს სატახტო ქალაქის სახელით; სამხრეთ-აფრიკის საზოგადოების თავმჯდომარე მიესალმა ნიდერლანდების ერის სახელით. შემდეგ კრიუგერი წავიდა სასტუმროში.

**პეტერბურგი.** ლიტვინისა და კრილოვის პიესის „კონტრაბანდისტების“ წარმოდგენის დროს საიმპერატორო პატარა თეატრში უწესოება მოხდა. დარბაზში საშინელი ყვირილი და სტვენა დაიწყეს, ასე რომ არტისტების ხმა არ ისმოდა; სცენაზე ისროდნენ კალოშებს, ვაშლებს და ყველაფერს, რაც ხელში მოჰხვდებოდათ. ერთი კალოში მოჰხვდა არტისტ-ქალს დომაშევისას. კრილოვმა და ლიტვინმა განცხადება შეიტანეს თეატრის დირექციაში, რომელშიაც სთხოვენ, ამიერიდგან ნულარ წარმოადგენთ ჩვენს თხზულებასაო.

**ვორჩესტერი** (კაპის ახალშენი). დღეს აქ მოხდა აფრიკანდერების კონგრესი, რომელსაც დაესწრო 3000 დელეგატი, წარმომადგენელნი 12000 აფრიკანდერისა. წესიერება არ დარღვეულა. თავმჯდომარეობდა კაპის ახალშენის უმთავრეს მსაჯულის ძმა დე-ვილიე. ერთმა დელეგატმა, რომელიც ინგლისში იყო გაგზავნილი, კრებას გამოუცხადა,—ინგლისის ახლანდელ ლიბერალებისაგან ნურაფერს მოველითო. შემდეგ კონგრესს წარედგინა სამი რეზოლიუცია; ერთი მათგანი თხოულობს ომის შეწყვეტას და შეეხება ქვეყნის გაოხრებას და ევროპიელ ერთა ამოწყვეტას. რეზოლიუცია ამბობს, რომ ბურების ქალებისა და ბავშვების წვალება მომავალ თაობას გადასცემს სიძულვილს ინგლისელთადმი; მხოლოდ რესპუბლიკების დამოუკიდებლობას შეუძლიან დაამყაროს მშვიდობიანობა სამხრეთ-აფრიკაში. მეორე რეზოლიუცია კრიტიკულად არჩევს კაპის ახალშენის გუბერნატორის მილნერის პოლიტიკას და აცხადებს, რომ ახალშენებს უფლება აქვთ თვითონ განაგონ თავიანთი საქმეები. მესამე რეზოლიუცია წინადადებას იძლევა, რომ გაგზავნილ იქმნას ლონდონში დელეგაცია, რომელმაც მთავრობას უნდა აცნობოს კონგრესის აზრი. ხანგრძლივის და მკაცრის კამათის შემდეგ კონგრესმა სამივე რეზოლიუცია მიიღო.

**ტიანძინი.** პირველი ლოკომოტივი დღეს გადის აქედან პეკინში; სამი დღის შემდეგ კი დაიწყება მგზავრთა მიმოსვლა.

დროებითმა მმართველობამ პარასკევს სიკვდილით დასაჯა „დიდი მუშტის“ ცნობილი წინამძღოლი ტანვენგუანი.

**შანჰაი**. სინანფუში ემზადებიან იმპერატორის სახლობის ვუჩანში გამგზავრებისთვის.

**პეკინი**. გუშინდელ სხდომაზედ ელჩებმა მიიღეს ამერიკის ელჩის წინადადება მშვიდობიანობის პირობათა ზოგიერთ მუხლების შეცვლის შესახებ. პირველად შეცვლილ იქმნება წინადადება: „სიკვდილით დასჯა დამნაშავე მანდარინებისა“, ამის მაგიერ ნათქვამი იქმნება „სასტიკი დასჯა მანდარინებისა დანაშაულობის შესაფერად“. დამნაშავეთა სახელები არ იქმნება მოყვანილი ნოტაში; ნათქვამი იქმნება მხოლოდ, რომ დასჯილ უნდა იქმნან ის პირნი, რომელთაც ჩინეთის მთავრობა დამნაშავედ სცნობს და რომელნიც უკვე იყვნენ აღნიშნულნი იმპერატორის სხვა-და-სხვა ბრძანებებში. დამატებული იქმნება აგრეთვე, რომ სხვებიც უნდა იქმნენ დასჯილნი, რომელთაც შემდეგში ელჩები დაასახელებენ. პრაქტიკული შედეგი ამ შეთანხმებისა ის იქმნება, რომ დასჯის საქმე მიენდობა ქვრივ დედოფალს. ის წინადადება, რომ შესუბუქებულ იქმნან მშვიდობიანობის პირობები, პირველად იაპონიამ წარუდგინა გერმანიას და შემდეგ ამერიკას; უკანასკნელმა გამოაცხადა, რომ ეს წინადადება სრულიად ეთანხმება მაკ-კინლეის შეხედულებასაო. თუმცა პირობების შემსუბუქება მოხდა იაპონიისა და ამერიკის თაოსნობით, ჩინელები მაინც რუსებს სთვლიან ამის მიზეზად, რადგანაც რუსები კარგად ეპყრობიან მათ.

**ალივალნორტი.** გუშინ ღამ ალივალნორტიდან გაგზავნილი სადარაჯო რაზმი ქალაქის ახლო შეეხლა დევეტის ჯარის წინა რაზმებს. სადარაჯო რაზმმა ტყვედ ერთი ბური წაიყვანა. დევეტს უკან დააწევინეს; მას საქმეს უჭირებს ჯარის-კაცების გაქცევა. ტყვედ წაყვანილმა სთქვა, რომ მდ. კალედონის სამხრეთ ნაპირზე დევეტი იძულებული გახდა მიეტოვებინა კრუპის ზარბაზანი. დატყვევებული ინგლისელები ბურებმა დევეტსდორპში გაანთავისუფლეს, გარდა ოფიცრებისა. ალივალნორტის კომენდანტმა ზომები მიიღო ბურების თავდასხმის ასაცდენად.

**ბერნი.** საერო კრების ორმოცმა წევრმა სურვილი გამოაცხადეს, რომ საერო კრებამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღოს: „საერო კრება მიჰმართავს ინგლისის ხალხსა და პარლამენტს და აგრეთვე სხვა ქვეყნების პარლამენტებს თხოვნით —მიიღონ ზომები, რათა ტრანსვაალის საქმე მედიატორეთა სამართლით იქმნას გარდაწყვეტილი, თანახმად საერთაშორისო უფლების დადგენილებათა“.

**ლონდონი**. პალატა: კამბერლეი მწუხარებას აცხადებს სამხრეთ-აფრიკიდან მოსულ იმ ცნობების გამო, რომელნიც ამტკიცებენ ინგლისელთა სასტიკობას. უნდა ვეცადოთო, რომ ომმა რაც შეიძლება ნაკლებად გააჯავროს ხალხი. თავის პასუხში სოლსბერიმ უთხრა, რომ სამხრეთ-აფრიკის დაპყრობილ პროვინციებში თვით-მმართველობის დაარსებამდე კიდევ გაივლის რამდენიმე წელიწადიო და შესაძლებელია მთელი თაობაც ვერ მოესწროს ამასაო.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

ინგლისურ ოპოზიციას განზრახვა აქვს, რაწამს პარლამენტის სხდომები დაიწყება, შეიტანოს ორი მეტად მკაცრი რეზოლიუცია. პირველი შეეხება ომის წარმოებას სამხრეთ-აფრიკაში, და მეორე—მიმართულია წინააღმდეგ ჩემბერლენისა.

პირველ რეზოლიუციაში ნათქვამია:

«ომის გაგრძელება სამხრეთ-აფრიკაში მიიყვანს ამ ქვეყანას დაღუპვამდე, დიდ-ბრიტანიას კიდევ გამოულევს ფულსაც და ჯარსაც. შემდეგ, სისტემა მიღებული ამ ბოლოს დროს ჩვენი გენერლებისაგან — ფერმების დანგრევა და დედაკაცების და ბავშვების ტყვეთ წაყვანა—არის ბარბაროსული სისტემა; ის არ შეესაბამება ინგლისელთ ზნესა და გამოუსადეგარია დანიშნული მიზნის მისაღწევად, ესე იგი ბურების დასამორჩილებლად. ეს სისტემა მხოლოდ იმისათვისაა გამოსადეგი, რომ შე-

გვარცხვინოს, შეგვაძულოს დამარცხებულებს და უნერგოს მომავალთაობას სიძულილი ინგლისის ერისადმი».

მეორე რეზოლიუციაში ნათქვამია: «დიდი თანამდებობის მქონე პირის და მისი სახლობის წევრთა ურთიერთობა სავაჭრო სინდიკატებთან, რომელთაც საქმენი აქვთ მთავრობასთან — ცხადი უწესოებაა. სანდისიერი მთავრობის და პარლამენტის სახელის ინტერესები მოითხოვენ, რომ ეს უწესოება დაგმობილ იქმნას საზოგადოებათა პალატის ყველა დეპუტატთაგან, განურჩევლად პოლიტიკურ დასებისა.»

✕ როგორც ამბობენ, კრიუგერი ჰოლანდიის შემდეგ წავა ბელგიაში და გერმანიაში, იქნება ავსტრიაშიაც, შემდეგ უნგრეთში და ბოლოს რუსეთში, რომლისაგანაც კრიუგერს დიდი იმედი აქვსო.

ირწმუნებიან, რომ კრიუგერი ამერიკაში არ წავაო, რადგანაც იგი დარწმუნებულია, რომ შეერთებული შტატები არ იკისრებენ დიპლომატიური შუამავლობის თაოსნობას.

გერმანიის მთავრობა ცდილობს თავიდან მოიშოროს კრიუგერი. ამ უკანასკნელს მთავრობამ გააგებინა, რომ მას აქეთ, რაც იმპერატორმა გაუგზავნა ტრანსვალის პრეზიდენტს განთქმული დეპეშა შესახებ ჯემსონის დაცემისა, გარემოებანი მარცულად შეიცვალნენ და მათ დაგვარად შეიცვალა გერმანიის მთავრობის გუნება. თუ მაინც და მაინც კრიუგერმა არ დაიშალა და მივიდა ბერლინში, მას იმპერატორი არ მიიღებს; პრეზიდენტს მხოლოდ კანცლერი ბიულოვი ინახულებსო.

✕ ავსტრიის გაზეთები თანაგრძნობით ლაპარაკობენ იმ დიდებულ დახვედრაზედ, რომელიც ფრანგებმა პრეზიდენტ კრიუგერს გაუმართეს. ვენის გაზეთი «დოიჩე ცაიტუნგ»-მა დაბეჭდა სტატია, რომელშიაც ჰკიცხავს ინგლისს და სიხარულს აცხადებს პრეზიდენტი კრიუგერის ბრწყინვალე მიგებებისა გამო. ამ სტატიას ხსენებული გაზეთი ათავებს შემდეგის სიტყვებით: «ეხლა დიდმა სახელმწიფოებმა უნდა დაამტკიცონ, ჰსურთ მათ პორტუგალიასავით თავი დაიმცირონ ინგლისის წინ, თუ არა».

ავსტრიის სხვა გაზეთები თხოულობენ — სახელმწიფოებმა ის მაინც მოახერხონ, რომ არ შეიწყნარონ სამხრეთ-აფრიკის შეერთება ინგლისის სამფლობელოებთანაო.

გაზეთები «ვატერლანდ» და «ფოლკსბლატ»-ი აცხადებენ, რომ რადგანაც ბრიტანიის მთავრობას ჯერ არ გამოუცხადებია სახელმწიფოებისათვის ოფიციალურად ტრანსვალისა და ორანჟის რესპუბლიკის შეერთება, ამისთვის ამ ჟამად ვერაფერი ვერ დაუშლის სახელმწიფოებს გაერიონ დიდ-ბრიტანიის და ბურების სასისხლო ომის საქმეში.

# ახალი ამბავი

✦ გუშინ ტფილისის ფრანგთა სასაფლაოზე დაკრძალეს გვამი უდროოდ გარდაცვალებულის ქართული თეატრის სუფლიორის და მოღვაწის **კოლა გადუსტოვისა.** გარდაცვალებულის გვამი დილის 10 საათზე გაასვენეს კათოლიკეთა ეკკლესიაში, სადაც გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი. დაესწრნენ: ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე და წევრნი, ქუთაისის ქართულ დასის მეთაური ვლ. ა. ალექსი-მესხიშვილი, ტფილისის ქართული დასი, თეატრის მსახურნი და განსვენებულის მრავალი მეგობარ-ამხანაგნი.

მიცვალებულის კუბოს ამშვენებდა სამი გვირგვინი: ქართული დრამატიული საზოგადოების, ტფილისის და ქუთაისის ქართულ დრამატიული დასებისა.

✦ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების პრეზიდენტმა, კავკასიის მთავარ-მართებელმა თავ. გ. ს. **გოლიცინმა**, მომავალ 1901 წლის კავკასიის სასოფლო-სამეურნეო სამრეწველო გამოფენის გასამართავად შესწირა 6000 მანეთი.

✦ ამას წინად ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ სამეურნეო საზოგადოების საბჭომ მომავალ 1901 წლის **გამოფენის** გასამართავად შემუშავებული **პროგრამის პროექტი** განსახილველად წარუდგინა კავკასიის მთავარ-მართებელს. ეხლა, როგორც შევიტყვეთ, მთავარ-მართებელს აღნიშნული პროგრამა მოუწონებია და სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კიდეც ატყობინებს, რომ ეს პროგრამა ახლო მომავალში წარეგინება დასამტკიცებლად მიწადმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს და ამასთანავე, სამეურნეო საზოგადოების თხოვნის თანახმად, შუამდგომლობა იქმნება აღძრული უმაღლეს მთავრობის წინაშე სასოფლო სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის გასამართავად საჭირო მატერიალური დახმარების აღმოსაჩენად.

✦ როგორც მკითხველებმაც უწყიან, სამეურნეო საზოგადოების მომავალ **სამრეწველო გამოფენის** გასამართავად დღემდე საბოლოოდ არ ჰქონდათ ამორჩეული მოხერხებული ადგილი. პარასკევს, 24 ნოემბერს, კავკასიის მთავარ-მართებლის წინადადების თანახმად, სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა, უგანათ. თავ. პ. ა. გრუზინსკიმ, მთავარ-მართებლის საბჭოს წევრმა ი. ვ. მიცკევიჩმა, მიწად-მოქმედების სამინისტროს კავკასიის რწმუნებულმა ი. ს. მედვედიევმა და სასოფლო მეურნეობის ინსპექტორმა ე. ნ. გეევსკიმ დაათვალიერეს საბალოსნო სკოლის ეზო და მის გვერდით მდებარე მუშტაიდის ნაწილი და სხვა ადგილი იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მოხერხებული იქმნება ეს ადგილები გამოფენის გასამართავად. ამავე დღეს, საღამოს 8 საათზე, კრება ჰქონდა სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, სხვათა შორის, ამ საკითხის განსახილველადაც, რომელზედაც საბჭომ მოხერხებულად იცნო საბალოსნო სკოლის ეზო გამოფენისათვის და ამასთანავე დაადგინა, რადგანაც ეზო არ იკმარებს, შეუერთონ მას გარეშემო მდებარე ადგილებიც.

✦ საგანგებო კომისია, სახაზინო რკინის გზების ინსპექტორის ა. ნ. გორჩაკოვის თავმჯდომარეობით, იხილავს ამ ჟამად კითხვას **შავთურის რკინის გზაზე** სავაჭრო ვაგონების მომატების შესახებ, რადგანაც არსებული რიცხვი ვაგონებისა საკმარისი არ არის მარგანეცის გადაზიდვისათვის.

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ მღ. ზ. გულისაშვილი შესდგომია ერთ ფრიად საყურადღებო მწერლის **პეტრე ლარაძის** „დილარიანის“ და სხვა **ნაწერების** ცალკე ბეჭდვას.

პეტრე ლარაძე 1837 წ. გარდაიცვალა, იგი მომსწრე იყო საქართველოს უკანასკნელ ბატონიშვილებისა, მნახველი ბევრის საყურადღებო შემთხვევების და მასთან თანამგრძნობიც თეიმურაზ ბატონიშვილსა. საზოგადოდ პეტრე ლარაძის ნაწერების დაბეჭდვა საკმაო განძი იქმნება ჩვენის ლიტერატურისათვის.

✦ ბათუმიდან „ნოვ. ობოზრენიე“ ს დეპეშით ატყობინებენ, რომ საერო განათლების მინისტრს მოუწონებია ქალაქის თვით-მმართველობის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ბათუმის კლასსიკურ გიმნაზიასთან **რეალური** პარალელური **კლასებიც** იქმნას დაარსებული.

✦ საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ დაამტკიცა ტფილისის ვაჭართა კრების დადგენილება ტფილისში **სავაჭრო სკოლის** დაარსების შესახებ.

✦ ჩვენ უკვე ვაცნობეთ მკითხველთ თავის დროზე, რომ სასულიერო უმთავრესს მმართველობას განზრახვა აქვს სამრევლო სკოლებთან გახსნას **სამეურნეო განყოფილებანი** სოფლის მეურნეობის სწავლებისათვის. ეხლა „ნოვ. ობოზრენიე“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან, რომ სათანადო უწყება უკვე შესდგომია ამ საქმის განხორციელებას და ამ ჟამად გროვდება ცნობები, თუ რამდენი ადგილმამული დასჭირდება ხსენებულ სკოლებს სამეურნეო საცდელ მინდორბაღებისათვის.

✦ დღეს, 26 ნოემბერს, თელავში მიდის ტფილისის **საოლქო სასამართლოს სესია** ვ. ვ. ბოლდირევის თავმჯდომარეობით, რათა ადგილობრივ გაარჩიოს სისხლის სამართლის რამდენიმე საქმე.

✦ ტფილისის ფიზიკურ ობსერვატორიის დირექტორმა ბ-ნმა ე. გლასეკმა სთხოვა სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ რადგანაც დრო ცოტა მაქვსო, განმათავისუფლეთ სამეურნეო საზოგადოების **სტატისტიკის ბიუროს** კომისიის თავმჯდომარის თანამდებობისგანაო. საბჭომ დაადგინა სთხოვონ ბ-ნ გლასეკს დარჩეს თავის თანამდებობაზე.

✦ 8 ნოემბრიდან 16-მდე ტფილისში დიფტერიტით ავად გამხდარა — 2, ყელ-ჭირვებით — 7 (მათგან 1 გარდაიცვალა) და კუჭის სახადით — 3.

✦ დაიბეჭდა და დაურიგდა ხელის-მომწერლებს ჟურნალ „**მოამბის**“ მე-X-ე ნომერი შემდეგის შინაარსით: **ა)** „ვიული“, მოთხრობა შ. არაგვისპირელისა (დასასრული); **ბ)** „ვერტერი“, თხზულება გიოტესი, თარგმანი გერმანულიდან ი — ნისა (გაგრძელება); **გ)** „შემოდგომა“, ლექსი ი. ევდოშვილისა; **დ)** „ქისარტყელა!“, კომედია ოთხ მოქმედებად, ავქ. ცაგარლისა; **ე)** „«ვეფხის-ტყაოსნის» ყალბი ადგილები“, ალ. ს—შვილისა; **ვ)** „ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან“, წერილი მეექვსე, კიტა აბაშიძისა; **ზ)** „ინგლისის კონსტიტუცია მე-XIX საუკუნეში“; **თ)** „სამეგრელოს აღწერა“, არქანჯელო ლამბერტისა, (თარგმანი იტალიურით) და **ი)** „უცხოეთის მიმოხილვა“, ლალისა.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელმა გარდასწყვიტა **მალე დაატანოს სახლის პატრონებს**, რომ იგინი ასრულებდნენ ქალაქის საბჭოს სავალდებულო დადგენილებებს ტროტუარების გაკეთების და სუფთად შენახვის და აგრეთვე უსუფთაობის მილის პირების ტრო-

ტუარებთან შესწორების შესახებ, და ბრძანება მისცა პოლიციის ყველა ბოქაულებს 25 ნოემბრიდან შვიდი დღით გაანთავისუფლონ ქვემო დასახელებული პოლიციის მოხელენი: დავიდოვი, ზუბრინსკი, ნეიპერტი, ქუკოვი, დავიდიუკი, უთნელოვი, პედტეჩინსკი, მიხაილოვი, რაზუმოვსკი და ამატუნი, რომელთაც დაევალათ მოსთხოვონ სახლის პატრონებს, თვითვეულმა თავის საპოლიციო ნაწილში, ტროტუარების შეკეთება და ახლების დაფენა, ვისაც აქამდის არ გაუკეთებია, ორი კვირის განმავლობაში და შვიდი დღის ვადა მისცენ უსუფთაობის მილების სასურველად შესასწორებლად.

## თეატრი

**ოპერეტტა.** 24 ნოემბერს თავად-აზნაურთა თეატრში ახლად ჩამოსულმა საოპერეტტო დასმა სეზონის დასაწყობად წარმოადგინა ოპერეტტა «გეიშა», მუსიკა სიდნეიჯონსისა. ამ ოპერეტტამ ყველა ქალაქებში ყურადღება დაიმსახურა, განსაკუთრებით ლონდონში. რუსულის სცენისათვის ეს ოპერეტტა ცოტათი შემოკლებულია და გადაკეთებული. ამ ოპერეტტაში მოკლეთ და ცოცხლად არის დასურათებული იაპონიის ყავახანის ცხოვრება. ოპერეტტა მხიარული მუსიკით არის დაწერილი. მოთამაშეთა შორის უნდა აღვნიშნოთ, როგორც კარგი მოთამაშენი, ბ. ტუმანკი მარკიზ იმორის როლში, ბ. კოშევსკი ყავახანის პატრონის როლში, თუმცა ამ არტისტს აკლდა სიცოცხლე; გარდა ამისა სავსებით ვერ გადმოგვცა იაპონელ ყავახანის გაიძვერა პატრონის ტიპი. მიმოზის როლს თამაშობდა ქ. ლელინისა, რომელიც კარგად მღეროდა, მაგრამ სუსტად თამაშობდა. მოლლის როლი თითქმის უნაკლულოდ აასრულა ქ. დალსკისამ; ამ არტისტკას აკლდა მხოლოდ გრაცია ცეკვის დროს. საზოგადოთ კარგი დასია და ოპერეტტას მოყვარულნი, იმედია, კმაყოფილნი დარჩებიან მათი ნახვით.

## სალამოს დეპეშები

25 ნოემბერი

**ლივადია.** 25 ნოემბერი, დილის 11 საათი. ხელმწიფე იმპერატორი გუშინდელი დღე ძალიან კარგად ჰგრძნობდა თავს; დღის ერთ ნაწილს ფეხზე ატარებს; ძალა თან და თან ემატება; ტემპერატურა და მაჯა ნორმალური აქვს. ლეიბ ხირურგიგირში, საპატიო ლეიბ-მედიკი პოპოვი; ექიმი ტიხონოვი.

**ლონდონი.** პალატა. კრანბორნმა განაცხადა, რომ ტრანსვაალისა და ორანჟეს რესპუბლიკის შემოერთება არც ერთის სახელმწიფოსათვის არ შეუტყობინებიათ. ყველა პრეცედენტების დაწვრილებით შესწავლის შემდეგ, მთავრობამ დაინახა, რომ ამგვარი განცხადება აუცილებელ საჭიროებას არ შეადგენს და რომ რომელიმე სახელმწიფოსაგან ამ შემოერთების მიღება სრულებით დამოკიდებული არ არის ამ გვარი ფორმალური განცხადებისაგან.

**იოჰანესბურგი.** მთავრობა სცდილობს მოათავსოს 4000 კაცი ნაპირზე ვოვიზონთან. განზრახვა აქვთ რანდის ყველა ფერმებიდან გამოიყვანონ მცხოვრებნი და მოათავსონ ისეთ ადგილას, სადაც ისინი სასტიკ ზედამხედველობის ქვეშ იქმნებიან, რადგან ბევრი მათგანიეხმარება მტერს სურსათის ზიდვით და ზვერით.

**ბერლინი.** საიმპერიო სეიმი. რეზიკე შეჰნიშნავს—დიდი მწუხარება მოიცავს გერმანიის ერს იმის გამო, რომ იმ ერის წინამძღოლისათვის, რომელიც იბრძვის დამოუკიდებლობის დასაცველად, გერმანიის კარები დახშულია სხვა სახელმწიფოს პატივსაცემლად. ორატორმა ვერ მოითმინა და საყვედური გამოუცხადა კანცლერს იმის გამო, რომ მან ვერ შეატყობინა იმპერატორს ერის ნამდვილი აზრი ამ საქმის შესახებ. წინაალმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა, რომ კრიუგერი არ მიეღოთ. სტატს-სეკრეტარმა პოსადოვსკიმ მწუხარება გამოაცხადა, რომ რეზიკემ წინ და წინვე არ შეატყობინა მთავრობას შინაარსი თავისი შეკითხვისა; მაშინ თვით ბიულოვი მოვიდოდა სხდომაზე და პირადად გასცემდა პასუხს ორატორს. დეპუტატს, რომელიც პასუხისმგებელი არ არის, ადვილად შეუძლიან იყოს გამომხატველი ხალხის აზრისა და გრძნობებისა, მაგრამ ის კაცი, რომელსაც ისეთი ადგილი უჭერია, როგორიც გერმანიის იმპერიის კანცლერია და რომელიც პასუხს აგებს არამც თუ გერმანიის მშვიდობიანობის დაცვის საქმეში, არამედ ხანდის ხან მოვალეც არის მხედველობაში იქონიოს მსოფლიო მშვიდობიანობაც,—ასეთი კაცი ყურს ვერ ათხოვებს ხალხის სანტიმენტალურს გრძნობებს; მისთვის სავალდებულოა მხოლოდ ერთი მიმართულება: სიდინჯე, უშიშარი მდგომარეობა, კეთილ-დღეობა და თავის ქვეყნის ინტერესების დაცვა.

**ნიუ-იორკი.** ვაშინგტონელი კორესპონდენტი გაზეთ „ნიუ იორკ ჰერალდისა“ ირწმუნება, ვითომ სარწმუნო წყაროდან გაეგოს, რომ ჩინეთი სახელმწიფოებისაგან საზღაურის მოთხოვნის პასუხად თავის მხრივ მოითხოვს ჩინეთის ქვეშევრდომთა იმ პირად და ქონებრივ ზარალის ზღვევას, რომელიც მათ მიაყენეს დამსჯელ ექსპედიციებმა.

**ლონდონი.** გააგის სამუდამო მედიატორეთა სასამართლოს წევრებად დაინიშნენ ინგლისის მხრივ: ლორდი პაუნსეფოტი, სერ ედუარდ მალეტი, მოსამართლე ფრაი და პროფესორი უეტმენი.

**ვენა.** საერთა-შორისო მედიატორეთა სასამართლოს დელეგატებად გააგაში დაინიშნენ: ავსტრიის მხრივ —თამჯდომარე საადმინისტრაციო სასამართლოსი გრაფი შენბორნი, პროფესორი საერთა-შორისო უფლებისა ლამაში, უნგრეთის მხრივ: —იუსტიციის მინისტრი დეზიდერ სილადიი, გრაფი ამბერტი აპპონიი.

**ლონდონი.** ქვემო პალატა. ჩემბერლენი აცხადებს, რომ მთავრობას განზრახვა აქვს, რაც შეიძლება ჩქარა ბოლო მოუღოს სათარეშო ომს და შემდეგ გარდაქმნას სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკები ახალშენად. განზრახვა არის შემდეგ საპარლამენტო სესსიამდე შემოღებული იქმნას ტრანსვაალში და ორანჟეს რესპუბლიკაში განსაზღვრული სამოქალაქო გამგეობა. მილნერი იქმნება მათი გუბერნატორი და ამასთანავე დარჩება უმთავრეს კომისარად; ორანჟეს ახალშენში იცხოვრებს სამხედრო გუბერნატორი; ამათ დასახმარებლად დაინიშნება აღმასრულებელი რჩევა. ინგლისი არა ჰგრძნობს არავითარ სიმძულვარეს მამაც ბურებისადმი; საბოლოვო მისი მიზანი არის ახალშენების სრული თვით-მმართველობა; ლიბერალური დასის ორატორები აცხადებენ, რომ ისინი დაკმაყოფილებულნი არიან ჩემბერლენის განცხადებით. ადრესის შესახებ დებატების დროს ემმოტმა, რომელსაც მხარი მისცა ტრეველიანმა, წარმოადგინა ადრესის დამატება, რომელშიაც ნათქვამია, რომ დაპყრობილ ქვეყნების დამშვიდებას და სამხრეთ-აფრიკის ევროპიელთა მომავალ კეთილ განწყობილებას ხელს შეუწყობს ზავის ჩამოგდების ჩქარა გამოცხადება, იმ პირთა თავისუფლებისა და საკუთრების უზრუნველ ყოფა, რომელნიც ეხლა იარაღ ქვეშ იმყოფებიან და რომელნიც მორჩილებას გასოაცხადებენ; ამავე დამატებაშია აგრეთვე ლაპარაკია იმ ზომების შესახებ, რომელნიც მიღებულ უნდა იქმნან ამ ქვეყნების მდგომარეობის განწესრიგებისა და მცხოვრებთა შერიგებისა და მათის მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის.

**პარიზი.** სენატმა ერთხმად მიიღო პროექტი შესახებ ფლოტის გაძლიერებისა.

**ამსტერდამი.** ორივე პალატის თავმჯდომარეები მიესალმნენ კრიუგერს წერილებით, თანხმად პალატების მინდობილობისა; მეორე პალატის პრეზიდენტის წერილში გამოთქმულია მხოლოდ თანაგრძნობა. პრეზიდენტი პირველი პალატისა მოწონებით იხსენიებს კრიუგერის კეთილშობილურ მიზნებს, რომელნიც შესდგებიან იმაში, რომ ბოლო მოუღოს უსამართლო, ძალად გამოწვეულს და ასე ბარბაროსულად წარმოებულს ომს. შემდეგ გამოთქმულია იმედი, რომ დამოუკიდებლობა სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკებისა სამუდამოდ იქმნება დაცული. კრიუგერმა დღეს არავინ არ მიიღო, გარდა თავის დაახლოვებულ პირებისა. საზოგადოებამ იმ სასტუმროს წინაშე, სადაც კრიუგერია ჩამომხდარი, გამართა მღელვარე მანიფესტაცია. კრიუგერი რამდენჯერმე გამოვიდა აივანზე და თავს უკრავდა ხალხს ნიშნად მადლობისა. დღეს დედოფალს ოფიციალურად სთხოვეს ნება-რთვა, რომ კრიუგერი ინახულოს.

**დანციგი.** დღეს შეიკრიბნენ აქ რუს—გერმანიის რკინის გზათა კავშირის წევრნი ახალ ტარიფების შესახებ მოსალაპარაკებლად.

**პეტერბურგი,** 24 ნოემბერი. ბირჟა. გირავნობის ფურც. ტფილისის საადგ. მამულ. ბანკისა 5% — $92\frac{1}{2}$ მყიდვ., $4\frac{1}{2}$% — $86\frac{1}{4}$ მყიდვ.; გირავ. ფურც. ქუთაისის ბანკისა 6% — $101\frac{1}{2}$ გამყიდვ., 5% — 93 მყიდვ.

რედაქტორი: ალ. ჭყონია. გამომცემელი: ალ. ჯაბადარი.

წარსული წლების ჟურნალი

**მოამბე**

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ.წ.—შვიდ-შვიდ მან., 1896, 1897 და 1898 წ.წ.—ხუთ-ხუთ მან., ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის-მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.—ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნალ „მოამბის“ ფოსტის ხარჯად 60 კაპეიკი უნდა გამოგზავნონ.—ჟურნალ

**მოამბის**

ადრესი: Тифлисъ, въ редакцію грузинск. журнала „Моамбе“.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Ноября 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.